

20/x
5 41
357

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნები

№ 25

თარიღი 503

გამომცემლობა „კომუნისტი“ გამომც. წელი XVIII
თბილისი, ვერიკა, 19 მებრძობარი 1941 წ.



ახს. ნ. ვაღბოლსკისა

სამხედრო მზადება

მხედრულ ცოდნის დაუფლებას დღეს სულ ყველა დაეწაფა,
მამა შეიღოსა ევჯიბრება, პარტიზანობს ბერი პაპა.

ფაშისტების მოსბობაში ყველას უნდა ედოს წილი,
მამა შეიღიით ამყოფს და ვაჟკაც მამით — ვაჟი შეიღი.

ლილოგი ფაშისჯახის კარავში

ეფრეიტორმა კურტ შლიუხტემ ადრე გაიღვიძა. ღამე ცუდად ეძინა, რადგან გუშინაც მშვიდი დაწვა. საერთოდ, შფოთიანი ღამეები გაატარა უკანასკნელ ხანებში. პარტიზანები მოსვენებას არ აძლევდნენ მათ: თავს ესხმოდნენ, ხოცავდნენ, ტყვედ მიჰყავდნენ, მიაქვთ მათი საჭურველი და სურსათი, ან სწვავდნენ და აფეთქებდნენ მათ. თითქმის მთელ ღამეს მათი იერიში ელანდებოდა და ახლაც იმათზე ფიქრობს ეფრეიტორი.

— ეშმაკმა იცის, რა ხალხი ყოფილა ეს პარტიზანები—ბუზღუნებს იგი, — არც ეშინიანთ, არც გული უტყდებათ. უცბად თითქოს ქვესკნელიდან ამოვრდნენო, შემოგვრტყვიან და ჯოჯოხეთს დაგინთებენ. გაუძელ კურტ, თუ მაგარი ზურგი გაქვს.

მაგრამ მას ფიქრი შეაწყვეტინა ორი ჯარისკაცის დიალოგმა. მახლობელ კარავიდან რომ მოისმოდა, შლიუხტემ ყური დაუგდო.

— აი, მართლაც მესმის პური, — ამბობდა ერთი.

— თეთრია ხომ, უკრაინული?

— ნამდვილი, იქ, ჩვენში. ფრონტზე წამოსვლამდე რომ გვეუბნებოდნენ: ჩახვალთ უკრაინაში და თავებზე საყრელი გექნებათ თეთრი პურიო, — ისეთია.

— ოჰო, ჰო, დალოცვილი რა აბურცული და დაბრაწულია თანაც, შეეჭმეცი თუ მადა გაქვს, არ შეგეგრება თუ?

— ოღონდაც, შენ ეს მითხარი, როგორ უფრო აჯობებს ამისი ჭამა—კარაქქასმული და ზემოდან შაშხის ნაჭერდადებული, თუ მარტო ხიზილალით?

— როგორც გინდა, ეგ გემოვნების საკითხია. მე, მაგალითად, მირჩევნია ბორშიში ჩამბალი, სალამოზე კი კარაქქასმული და თანაც ზედ ნაღების დაყობება, — ერთის სიტყვით, ეს ჩემი ხასიათია, შენ კი — როგორც გინდა.

კურტ შლიუხტე გაქვავებული და ენაზე ნერწყვმომდგარი უსმენდა. მან დაასკვნა, რომ ამ კარავში მობინადრებმა, როგორც გამოცდილმა მარადიორებმა, სადღაც მიაგნეს პურისა და პროდუქტების მდიდარ საწყობს, მოიტანეს კარავში: თვითონ ჩუმად ხეტოქვენ და უფროსებს კი არ ატყვევენ.

— შე ვაჩვენებ მაგ არამზადებს, როგორ უნდა ჩემი მარადიორობა, დავსჯი ორივეს, — გაიფიქრა ეფრეიტორმა და უცბად შეეარდა კარავში.

— რას აკეთებთ თქვენი გარეწობით თქვენა? მარადიორობით და თვითონვე

ითვისებთ განა? ნუთუ დაგაგიწვდათ ბრძანება, რომ თუ ნაზარცკის წიაღი მაინც უფროსს არ მიეცით, სასტიკად დაისჯებით?

ჯარისკაცები დაფეთდნენ. ისინი ფაცა-ფუციით წამოცვიდნენ საწოლებიდან და გამოეჭიმნენ ეფრეიტორს განმარტებისათვის. მაგრამ განმარტება არც იყო საჭირო, კურტ შლიუხტეს მეტად მკვერმეტყველი სურათი წარმოუდგა თვალწინ:

ჯარისკაცების საწოლებს შუა გაფენილი იყო ლითოგრაფიულად შესრულებული რეკლამა იმ დაბის ერთერთი პურის საცხობისა, სადაც ფაშისტების დივიზიამ მოახერხა შეჭრა ათიოდე დღის წინათ. ყველაფერთან ერთად, მათ პურის საცხობიც დაარბიეს. ის პლაკატი კი ჩამოეხიათ და კარავში მიეტანათ. ზედ ცოცხლად იყო დახატული პირველი ხარისხის პურის სხვადასხვა ასორტიმენტა და განსაკუთრებით კი დიდი, ყუაშებრაწული თეთრი პური, რომელიც აი, თითქოს ეს ეს არის ახლა გამოუღიათ ლუმელიდან და ჯერ ისევ ცხელი, მადისაღმძვრელი ორთქლი ასდისო.

„მოითხოვეთ ყოველთვის ახალი პური“ — აუწყებდა რეკლამა მომხმარებლებს.

— ამის შესახებ ვლაპარაკობდით ბატონო ეფრეიტორო, — მოახსენა ერთერთმა ჯარისკაცმა შლიუხტეს და გამოხატულ დიდ პურზე მიუთითა.

— და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ პურის ჭამა, ეს რომ ჩვენთვის შესაძლებელი იყოს, — დასძინა მეორემ.

— ეს ყოველთვის შეეძლოთ და შეუძლიანთ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, — დასძინა პირველმა უნებურად და უმაღვე იგრძნო, რომ ამით რაღაც დააშავა?

შლიუხტემ, იმედგაცრუებულმა, გაბრაზებულმა შლიუხტემ მათ თვალები დაუბრიალა:

— რაო, რაო არამზადებო? მაშ თქვენ თეთრი პურის უპირატესობის აგიტაციის გაწევას აპირებთ? მაშ თქვენ არ მოგწონთ პურის შემცვლელი ნივთიერებანი? ასეთი მანე აზრებისათვის თქვენ მიიღებთ საკადრისს.

და კურტ შლიუხტემ დაიწყო მოხსენების დაწერა სავლევ სასამართლოს სახელზე, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ფარსადანი

გ ა ი გ ო

„გერმანიის ფაშისტებმა კრტა ხნის წინად, ბალტიის საბჭოთა ფლოტი განადგურებულად გამოაცხადეს.

უკანასკნელ ხანებში ბალტიის ფლოტმა ლენინგრადის მისადგომებთან ჩასძირა გერმანიის სამი სამხედრო გემი, მათ შორის ერთი კრეისერი“.

გაზეთებიდან

ნახ. კაზაკოვისა



პირველი ფაშისტი — ვისგან ნადგურდება ჩვენი ფლოტი?
მეორე ფაშისტი — „განადგურებული“ ფლოტისგან.

„ოდესის მისასვლელებთან რუმინელებს უდიდესი ზარალი მოსდით. წითელმა არმიამ სრულიად განადგურა რამდენიმე მათი დივიზია“.

გაზეთებდა

ნახ. დონისა



შპაში: — ჰიტლერმა პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა: უკვე მოუპოვა თავის მეომრებს მიწა, ჯვარი და მყუდრო ცხოვრება.

ყორანი ყორნებს იწვევდა
ჩხავილით, ფრთათა დარხვეით:
მოფრინდით, მოინახულეთ
რა მინდორია, რა ხევი,
სისხლით და ლეშით ავსილა
ნაომარ-ნაპარტახევი...

2.

დავჭყვივლე: „ჰაუ, წყულო!
რას ჩხავი, რას იჩმახები!
შხამად შეგარგებთ მაგ ნადიმს
რისხვით აშლილი ხალხები
და თქვენთან ერთად გაჰჭრება
ბინძურ ფაშისტთა სახელიც!..“

ბ. ჭუჩიავილი

ბ ა ნ დ ი ვ ი ს ღ ღ ი უ რ ი

10 სექტემბერი.

პარტიზანები მოსვენებას არ გვაძლევენ. დღეს მოვისმინე ბერლინის რადიო. „...პარტიზანები, რომლებიც ტყეებში არიან და თავს ესხმიან გერმანელი ჯარების ზურგს, ყველაზე უსაძაგლესი ბანდიტები და მძარცველები არიან...“

ისინი ომის ყოველგვარი კანონების გარეშე იბრძვიან“.

სრული სიმაართლეა, სამაგიეროდ ჩვენ კულტურულად ვიბრძვი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვიცავთ ომის კანონებს.

11 სექტემბერი.

დაპყრობილ ადგილებშიც კი ფაშისტები უსახლვროთ ვზრუნავთ ადამიანზე. ამას ამტკიცებს დღეის მაგალითი. გუშინ დავიკავეთ ქ. პეტრიკოვი. ამ ქალაქის მოსახლეობა წინდაწინ გავაფრთხილეთ დაეტოვებიათ ქალაქი, რომ საბჭოთა ჯარების მიერ ბომბარდირებას მათში მსხვერპლი არ გამოეწვია. ისინი და ამ ქალაქის გარშემო მდებარე სოფლის მცხოვრებლები თავიანთ სახლებიდან გავრყეთ, არც ნივთების წაღების ნება მივეცით, რომ მათი ზიდავით არ გაწვალბულიყვნენ, მათი წასვლის შემდეგ სათითაოდ გაეჩხრიკეთ მათი ბინები და რაც მოგვეწონა ყველაფერი გზას გავუყენეთ.

ერთი სიტყვით გულთბილად ვზრუნავთ, რომ მტრის ქონება შევინარჩუნოთ.

12 სექტემბერი.

„მთელი სოფელი გაეჩხრიკეთ და ორი ნახმარი საცვალის მეტი ვერ აღმოვაჩინეთ. გაქცეულ მოსახლეობას დანარჩენი ყველაფერი გაეტაცნა, ესეც ხეირია ვთქვი და წამოვიღეო“, მითხრა დღეს ჩემმა მეგობარმა. მე მომწონს მისი საქციელი, მისი თავდაბლობა, არიული რასის სულის სიმადლეს ანსახიერებს. ერთ ოჯახში მოხარული ქაში ვნახე, ორი ბავშვისათვის აცივებდნენ, მე ის ბავშვები ორივე შემომაკვდა, ჩინებულად გამოდის, რომ ბავშვები არ შემომკვდომოდა, იტყოდნენ ბავშვებს საკვები წაართვაო. ახლა კი რაკი ბავშვები აღარ არიან, ქაშიც უპატრონოთ დარჩა და მე დავებატრონე.

13 სექტემბერი.

პარტიზანებმა ჩვენთვის ვამოგზავნილი სურსათით დატვირთული მატარებელი დაწვეს და 5 ტანკი გაანადგურეს.

14 სექტემბერი.

გუშინ ერთი ოჯახი დავაწიოკე, გაჩხრეკის შედეგად 100 გრ. შა-

ქარი ვიშოვე. ესეც ხეირია.

15 სექტემბერი.

დღეს დილით ერთ სოფელში ოცამდე ქალი და ბავშვი დავხვრიტეთ.

16 სექტემბერი.

პარტიზანებმა ჩვენი შტაბის შენობა დაწვეს.

17 სექტემბერი.

დღეს კიდევ დავხვრიტეთ 3 ქალი, რომლებმაც ურჩობა გაგვიწიეს, როდესაც მათი გაუპატიურება ვცადეთ. ერთ მათგანს დახვრეტის შემდეგ გაჩხრეკის დროს მაჯის საათი ვუპოვე. კარგია ჩემს გენრიეტას მაინც გავახარებ.

18 სექტემბერი.

ერთ ამხანაგს წამოსცდა, მშვიდობიან ხალხის მოკვლა და ძარცვა უკანონოა არისო. იგი იქნებ მტრის აგენტია. თუ ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, მან არ იცის ჩვენი პრინციპები. ფიურერი პირდაპირ ამბობს:“

„მე მჭირდება მაგარმუშტებიანი ადამიანები, რომლებსაც არ შეაჩერებს პრინციპები, როდესაც ვისიმე მოკვლაა საჭირო. და თუ ისინი შემთხვევისას საათს ან ძვირფასეულობას ააცოცებენ, მე რა მენადვლება“.

19 სექტემბერი.

პარტიზანები ჩვენ მოტოციკლეტისტებს დახვდნენ, ნაწილი დახოცეს და ნაწილი კი ტყვედ წაიყვანეს.

20 სექტემბერი.

ჩვენმა თვითმფრინავებმა სამი სოფელი დასწვეს და სამხედრო ჰოსპიტალი დაბომბეს.

21 სექტემბერი.

პარტიზანებმა 4 ტანკი გაგვინადგურეს. მართალი იყო ბერლინის რადიო სადგურის გაფრთხილება: ისინი ომის ყოველგვარი კანონის გარეშე იბრძვიან. მშვიდობიან მცხოვრებლებს არ კლავენ, დაჭრილებს არ აწამებენ, ბავშვებს არ ხვრეტენ, ოჯახებს არ ძარცვავენ, მაინცდამაინც ტანკები, მოტოციკლეტები, სამხედრო მატარებლები და წმინდა ტევტონური სისხლის მატარებელი ჩვენი რაინდული არიული მებრძოლები ყავთ მუდამ ნიშანში ამოღებული.


ს. ისარიძე




ფეხვედრა ვენეციაში



ფეხვედრა ბრენერში



ფეხვედრა მიუნხენში



ფეხვედრა სამხედრო ბანაკში

გ ა ს რ უ ე ბ უ ლ ი ი მ ე ლ ი

„ბულგარეთის ჯარში იზრდება თანაგრძნობა წითელი არმიისადმი“.

გაზეთებიდან

ვინც საბჭოეთს ამ ომში თანაგრძნობით ხედებაო, სამ ნაბიჯს წინ გადმოსდგამს. შიში ნუ ექნებაო;

საინჟინერო პოლკში გამოიკა ბრძანება: „შტაბის ქორთა უფროსმა ისურვა მობრძანება.“

და ცნობილმა ლუკაჩმა ჯარს მიმართა ღიმილით, უთხრა: ბევრჯერ მსმენია თქვენი გულის ტკივილი.

საკითხს გისვამთ ვაუკაცებს მიპასუხებთ ვიციო, არ შემარცხვენთ არ უნდა მტკიცება და ფიციო.

ვისიც გერმანიისკენ არის თანაგრძნობაო, ის ადგილზე დარჩეს და არ დაშალოს წყობაო.

გადაჯგუფდნენ... რას ხედავს? ლუკაჩს დაესხა რეტი, ჯარისკაცთაგან მხოლოდ ადგილზე დარჩა... ერთი.

დ. ჯავახიანიძე

ი ს რ ე ბ ი

„საქმემან მისმან გამოაჩინა“

„პიტლერის პირადი განკარგულებით ჩეხოსლოვაკიაში დახურეს ყველა უნივერსიტეტები“.

გაზეთებიდან

საქმემან მისმან გამოაჩინოს! ყველა კაციო,—უთქვამთ და გვჯერა. ვინ გაიკვირვებს, რომ ბარბაროსმა არ შეიწყნაროს კულტურის კერა.

„გმირული საქმე“

„გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ ნორვეგიაში გამოსცა დეკრეტი რათა მოსახლეობამ ჩააბაროს მთავრობას მატყლის საბნები“.

გაზეთებიდან

ზამთარი დგება. ვერაგ ფაშისტებს ელის სიცივით კბილთა ბაბანი. ბრძანება გასცეს: ნორვეგიელებს გადააძვრეთო ყველას საბანი. ვინც თაწის ნებით არ დაგიტომოთო მიაბჯინეთო მკერდზე ნაგანი,— აი ფაშისტა „გმირული საქმე“ და მზრუნველობის მათის საგანი.

„სამაგალითო ჯარისკაცი“

კოლეგები

ჰიტლერმა აღიარა, რომ იგი სასტიკად მოსტყუდა საბჭოთა კავშირის ძალების შეფასებაში.

გაზეთი „საბჭოთა კავშირი“

ნახ. დ. ნაცვლიშვილისა

ბერლინი. ყუმბარსაფარი. ჰიტლერი და პროფესორი, დოქტორი ზუბპე, — პატარა. მელოტი ბერო. კაცი, კვადრატული სათვალეებით. გერმანელ შტაბის ოფიცრის ფორმაში.

ზუბპე — ჯარისკაცმა უნდა იცოდეს მწყობრში სიარული. აი, გერმანული სრულყოფილი მარშირება: — ჯარისკაცი, კრეიცერ, სმენა! ნაბიჯით იარ! ისმის მძიმე ნაბიჯები. კაბინეტი ოდნავ ირყევა. ჰიტლერის საწერ მაგიდაზე რიტმიულად ქანაობს ლუდის შემცველით სავსე ჭიქის შემცველი.

ზუბპე — სდექ! ნაბიჯების ხმა წყდება.

ზუბპე — გერმანელ ჯარისკაცს უნდა შეეძლოს გადალახოს სიძნელები. აი, სამაგალითო ნახტომი: ჯარისკაცი კრეიცერ, სმენა! ნახტომი — ოპ!

ისმის გრუნხუნი. კაბინეტი ირყევა. მაგიდაზე ძლიერ გაექანება და ზევით ახტება ჭიქის შემცველი. ჰიტლერს შეეშხეფება მასში მდგარი საეჭვო სითხე.

ზუბპე — გერმანელ ჯარისკაცს უნდა შეეძლოს ხიშტის ხმარა: — ჯარისკაცი, კრეიცერ! ერთი — ჰკა! ორი — ჰკა! სამი...

ისმის ლითონის ღრქიალი. პაუზა.

ზუბპე — ჰმ... ეხლავე!

ის მიდის ოთახის შუა მდგარ გერმანელ ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილ, ურჩხულთან, რომელსაც წინ გამოწვდილ ხელებში უჭირავს შაშხანა ხიშტით. ხიშტი უძლურად ედანდალება; წინისაკენ ვერ მოძრაობს.

ზუბპე — ხიშტით ბრძოლა ჩვენ ჯერ კიდევ... მმ... ასე ვთქვათ არ გამოგვიდის...

ჰიტლერი იჭმუხნება.

ზუბპე — მაგრამ მე ჩემო ფიურერო, განვაგრძობ მუშაობას. ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველა პროდუქტებს რომელთა ნაკლებობასაც განვიციდით გამოჩნული აქვთ შემცველნი, ეს უთუოდ ჯარისკაცის საუკეთესო შემცველია. მას არ სჭირდება ჰოსპიტალი და საავადმყოფოები ვინაიდან დაზიანებული ნაწილების შეცვლა ადვილად შეიძლება სამარაგო ნაწილებით. საქმის გასაადვილებლად ნაწილები დაწმენვილია. გთხოვთ! (უჩვენებს).

ჰიტლერი (სახის გამომეტყველების შეუცვლელად) — ძლიერ კარგი!

ზუბპე — ჩემ მიერ გამოგონილი ჯარისკაცი არ ფიქრობს.

ჰიტლერი — ჩემიც აგრეთვე.

ზუბპე — ის არ სვამს არაყს.

ჰიტლერი — მამ როგორ იბრძვის?

ზუბპე — მას არა ჰყავს ნათესავი, არც ცოლი. არც დედა. არც ბავშვები, მას არავინ დაიტრებს...

ჰიტლერი — ეს ჩემთვის სულ ერთია!

ზუბპე — ჩემ მიერ გამოგონილი...

ჰიტლერი — კმარა, მიზასუხეთ კითხვებზე!

ზუბპე — (თავს მდაბლად ხრის) მე გისმენთ. ჩემო ფიურერო...

ჰიტლერი — (პოზის შეუცვლელად) — თქვენმა ჯარისკაცმა იცის ზეინკლობა?

ზუბპე — (გაკვირვებით) — მე არ ვთვლიდი საჭიროდ...

ჰიტლერი — შეუძლია მას განსაზღვროს ადამიანის წლოვანება?


ზუბპე — არა, მაგრამ...

ჰიტლერი — შეუძლია მას მამაკაცის გარჩევა დედაკაცისაგან?

ზუბპე — ჩემო ფიურერო...

ჰიტლერი — თქვენ დამარცხდით. საუკეთესო ჯარისკაცი, რომელიც აკმაყოფილებს ახალი წესის ყველა მოთხოვნას, უკვე გამოგონილია ჩემ მიერ. აი უქანასკნელი მოდელი (მიიხედავს კარებისაკენ) ჯარისკაცი ჰანს მერდერ! ნაბიჯით იარ!

ძლიერი ნაბიჯების გამო კაბინეტი ირყევა. მაგიდაზე ქანაობს ჭიქის შემცველი.



დონ-კიხოტი, ტარტარანი და ბარონ მიულჰაუზენი (ჰიტლერს) — მოგვილოცავს ჰერ! ჩვენს სახელოვან ბანაკს ამიერიდან უენი სახელიც დაამუშვენებს.

ჰიტლერი — ჩქარა! გადახტი! ჯარისკაცი აკეთებს ნახტომს. მაგიდაზე ისევ ექანება ჭიქის შემცველი და იღვრება ლუდის შემცველი.

ჰიტლერი — აი სამაგალითო მოდელი! დაჯილდოებულია რკინის ჯვრით.

ზუბპე — ხსნის პორტფელს საჩქაროთ, ჩახედავს შიგ და ამოაქვს რაღაც ქაღალდი:

ზუბპე — ჩემო ფიურერო! მე მქონდა მიღებული

არასწორი დავალება. სამხედრო სამინისტრომ დამიკვეთა ჯარისკაცი და საჭირო ყოფილა კი ბანდიტი!

ლითონის ურჩხულის გვერდით დგას ვიწრო შუბლიანი გერმანელი ჯარისკაცი. უგნური სახე, ურცხვად იკრიბება, ავაზაკურ თვალებს ახამხამებს...


გ. კოლტუნოვი
დ. ზისკინი
თბილისი, ოქტომბერი.

ჯ ე რ უ ი

„ვერმანისა და კომპანიის ნავთის მოთხოვნა უდრის 2½ მილიარდ ტონას; რუმინეთს კი 1941 წ. შეუძლია, დიდი გაჭირვებით, მისცეს მხოლოდ 4 მილიონ ტონამდე.“

ნახ. ნ. ვაღბოლსკისა

საქართველოს
გეოგრაფიული
ინსტიტუტი



რუმინთა ნავთმა დაიკლო,
ეხლა ჩამოდის წვეთობით,
ჯერში ჩამდგარან ფაშისტნი,

ახელგანთქმულნი ყბედობით;
დალრეჯილები უცქერენ,
მკენესარნი უიმედობით.